



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 17
31/03/2017

17-04-4-201703311758



ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიშის მოსმენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

2016 წელს, ქედის მუნიციპალიტეტში დაინერგა არა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, გაღმავრდა და გაფართოვდა ურთიერთობები სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან. გამგეობის ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურმა, კოორდინირებულმა მუშაობამ გაზარდა შესრულებული საქმიანობის ხარისხი. მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა. სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. წინა წლებთან შედარებით, ორმაგად გაზარდილია მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში.

ამომრჩეველთან პირველი ხალხის მიერ არჩეული გამგებლის პასუხისმგებლობა

მეთხე წელს:

- ✓ საწარმოების გახსნა ქედაში - შესრულებულია;
- ✓ წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება - შესრულებულია;
- ✓ სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა - შესრულებულია;
- ✓ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - აქტიურ ფაზაშია!
- ✓ დარჩა მხოლოდ ერთი - გ ა ზ ი ფ ი ც ი რ ე ბ ა! მიმდინარეობს პროექტირებაზე აქტიური მუშაობა.

გამგებლისა და გამგეობის ძირითადი პრინციპები:

- საქმიანობის გამჭვირვალობა;
- მოქალაქეთა კეთილდღეობა;
- ორგანიზაციის საქმეზე ორიენტირებულობა;
- საჯაროობა;
- ღიაობა;
- კეთილსინდისიერება;
- კრიზისულ სიტუაციაში ოპერატიულობა;
- გუნდურობა.

ვთანამშრომლობთ:

- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან: marcy corps, oxfam, empard, NAF, CNN ა.შ. (ქედაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამონაწილეობით).
- ✓ მაღალია საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები მედიაში, პრესაში, რადიოში, სოციალურ მედიაში და ა.შ.
- ✓ ორგანიზაციას აქვს კეთილსინდისიერი პიარი, რომელიც რეალურად განხორციელებულ თემებზე დაფუძნებული და ქვეყნდება პროაქტიულად.
- ✓ აქტიურად ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.
- ✓ ვიწყებთ საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხის განხილვასაც, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასა და ადგილობრივების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამგებლისა და პასუხისმგებელი პირების ჩართულობა:

- * აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ინიციატივებსა და კამპანიებში;
- * საქველმოქმედო აქციებში;
- * მიუხედავად იმისა, რომ ყოველ პარასკევს იმართება მოქალაქეთა მიღება გამგებელთან, სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები იმართება წლის განმავლობაში კარ-დაკარის პრინციპით რამოდენიმეჯერ;
- * ხალხის მიერ არჩეული გამგებელი მოსახლეობას აბარებს ყოველწლიურად საქმიანობის ანგარიშს;
- * ეწყობა ბიუჯეტის, პროექტებისა და ინიცირებების საჯარო განხილვა;
- * კრიზისულ სიტუაციებში გამგეობაში შექმნილი მუდმივმოქმედი შტაბი პრობლემის დროულ იდენტიფიცირებასა და რეაგირებას ახდენს;
- * გამგეობაში მოქმედებს ცხელი ხაზი;
- * ყველა სტრუქტურული ერთეული და ხელმძღვანელი პირები ორიენტირებულები არიან მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე;
- * ასევე ეფექტურია გამგეობაში შექმნილი კომისიების მუშაობა. მათ შორის:

- შექიშნა ახალი - „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“-რომელიც ეფექტურად ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას;
- „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით გამგეობის სათათბირო ორგანო - საბჭო“ - რომელიც შეიძლება ითქვას რეგიონში გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე გამართული მუშაობით;
 - პირველადი რეგისტრაციის **14 143** მოქალაქის მონაცემები დაზუსტდა;
 - სტატუსი მიენიჭა **14 961** მოქალაქეს;
 - უარი ეთქვა -1 მოქალაქეს.
- კანონმდებლობის შესაბამისად, შეიქმნა გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- აღსანიშნავია სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის მუშაობა;
- ასევე, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი;
- საპატო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების საკითხის განმხილველი კომისია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი;
- ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისას პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი პირების საჩივრებზე რეაგირების ადგილობრივი კომისია;
- შენობა-ნაგებობებზე განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისია და ა.შ.

ქედის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 დეკემბრის №23 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური მოცულობა **10 037 019 ლარის** ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **10 278 880 ლარით**. ქედის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია:

- გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - **3 835 500 ლარი**;
- აჭარის ა რ ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი - **3 941 720 ლარი**;
- აჭარის ა რ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - **520 852 ლარი**;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სპეციალური ტრანსფერი - **589 517 ლარი**;

გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა - **716 804 ლარი**.

მათ შორის:

- ქონების გადასახდი - **522 566 ლარი**;
აღნიშნულ თანხის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ქედაში დაგეგმილი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა, რომელსაც განახორციელებს კომპანია, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტი 2 მილიონ ნახევრიდან 3 მილიონამდე დამატებით შემოსავალს მიიღებს.
- საშემოსავლო გადასახადი - **194 238 ლარი**;

სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა **645 525 ლარი**.

მათ შორის:

- პროცენტები - **26 043 ლარი**;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - **507 891 ლარი**;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - **1039 ლარი**;
- სანებართვო მოსაკრებელი - **1069 ლარი**;
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტეროტორიის დასუფთავებისათვის - **22 302 ლარი**;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - **28 108 ლარი**;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **57 430 ლარი**.

ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა - **20 476 ლარი**.

შემოსულობები დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა **102%-ით**.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2016 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **10 426 661 ლარის** ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **10 035 769 ლარი**.

აქედან:

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების სფეროს 2016 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა **64 565 ლარს**

ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **57 257 ლარი**.

2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის გეგმა დავალება შეადგენდა **21 წვევამდელს**, გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეული იქნა **30 მოქალაქე**.

- ✓ შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა - **16 წვევამდელი**;
- ✓ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში - **3 წვევამდელი**.
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია **1 წვევამდელი და 5 რეზერვისტი**;
- ✓ პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა **2000 წელს დაბადებული ჯაბუკები**.

წლის განმავლობაში გაცემულია წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო 70 მოწმობა, ხოლო რეზერვისტის დროებითი მოწმობა - **63 მოქალაქეზე**.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ, 2016 წელში გამოყოფილი კაპიტალური ხარჯების ათვისებისათვის განხორციელდა შესყიდვები, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა **4 760 800 ლარი**. სულ წლის განმავლობაში განხორციელდა **98** კაპიტალური პროექტი.

მათ შორის:

- ✓ ნაპირსამაგრი სამუშაოები - აშენდა დაბა ქედაში ნაპირსამაგრი ჯებირი და სოფელ მახუნცეთში ნაპირსამაგრი გაბიონი - **1 375 800 ლარი**.
- ✓ წყალსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია - აშენდა ხუნკუდა-გულეები-ზესოფლის ახალი წყალსადენი. დაიწყო ხარაულა-ჯალაბაშვილების ახალი წყალსადენის მშენებლობა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ ახოს, პირველი მასის, და დაბა ქედის მაგისტრალებს. აშენდა სოფელ გოგიაშვილების სარწყავი არხი - **1 277 016 ლარი**;
- ✓ მეწყერული მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებები - მუნიციპალიტეტის 50 სოფელში განხორციელდა ფერდამცავი კედლების, სანიაღვრე არხების, სტიქიისაგან დაზიანებული ხიდებისა და გზების აღდგენითი სამუშაოები. სულ აღნიშნული ხარჯებით შესრულდა 70-ზე მეტი ღონისძიება - **954 000 ლარი**;
- ✓ ტერიტორიების კეთილმოწყობითი სამუშაოები - დაბა ქედაში კეთილმოეწყო რუსთაველის, აღამაშენბლოს, ჭავჭავაძის და მ. კოსტავას ქუჩები. აწვესის დასახლებაში რემონტი ჩაუტარდა საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემებს. სოფელ ზესოფელში მოწესრიგდა სოფლის ცენტრი. აშენდა კეთილმოწყობილი საპირფარეოები ზვარეში, ახოში, მახუნცეთში და წონიარისში. გარემონტდა 14 მგზავრთა მოსაცდელი - **427 860 ლარი**;
- ✓ საუბნო გზებისა და საცალფეხო ბილიკების რეაბილიტაცია - გარემონტდა სოფელ გეგელიძეებში კეკელიძეების საუბნო გზა; მოეწყო საცალფეხო ბილიკები სოფელ ცხმორისში, გეგელიძეებში და დოხოძეებში; აღდგენილი იქნა მეწყერისაგან დაზიანებული გზები და ხიდები სოფელ ნამონასტრევი და შევაბურში - **150 800 ლარი**;
- ✓ სამედიცინო მომსახურების ობიექტების სარემონტო სამუშაოები და ტექნიკის შესაძენა - გარემონტდა სოფელ ორცვის, ვაიოს, აბუქეთის, გოგინძეების, ბზუბზუს, ჯალაბაშვილების, სილიბაურის და ჩეტკიძეების სამედიცინო პუნქტები; სასწრაფო დახმარების საოფისე ფართი დაბა ქედაში; ასევე, შეძენილი იქნა ორი მაღალი გამავლობის ავტომობილი სოფელ მერისისა და პირველი მასის ამბულატორიებისათვის - **94 000 ლარი**.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროს 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **5 099 271 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **4 838 625 ლარი**, მათ შორის:

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა შენახვა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **904 100 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **879 280 ლარი**.

საიდანაც:

- შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია - გეგმა განისაზღვრა **43 500 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **32 870 ლარი**.
- სოფელ კოლოტაურში ხიდის მშენებლობა - გეგმა განისაზღვრა **23 800 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **23 783 ლარი**.
- სოფელ ახოს ძირვენახის უბნის საავტომობილო გზის მშენებლობა - გეგმა განისაზღვრა **44 400 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **44 307 ლარი**.

- ბურღვა აფეთქებით სამუშაოები - გეგმა განისაზღვრა **3 900 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **3 877 ლარი**.
- სოფელ ჭალახმელას საცალფეხო ხიდის რემონტი - გეგმა განისაზღვრა **1700 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1627 ლარი**.

➤ **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **2 426 207 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ **2 294 941 ლარი**.

საიდანაც:

- შპს „ქედის კომუნალურისერვისი“ - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **273 600 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **273 430 ლარი**.
- შპს „ქედის წყალკანალი“ - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **176 700 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **176 700 ლარი**;
- სოფელ გობრონეთის ბარის უბნისათვის სასმელი წყლის სისტემისათვის ავზის მშენებლობა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **9 800 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **9 707 ლარი**;
- სარწყავი არხებისა და წყალსადენებისათვის მილების შექმნა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **20 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **20 000 ლარი**;

➤ **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **449 700 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **388 713 ლარი**.

მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავარიული შენობა-ნაგებობების საკვლევი და გამაგრებითი სამუშაოები (დემონტაჟი) - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **45 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **44 956 ლარი**;
- მუნიციპალური (ყოფილი კოოპერაციის ადმინისტრაციული შენობა) შენობის რეაბილიტაცია - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **60 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **43 682 ლარი**;
- დაბის ტეროტორიის კეთილმოწყობა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **184 800 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **151 028 ლარი**;
- აწვევისა და ზვარის თემის ცენტრების კეთილმოწყობა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **98 400 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **98 308 ლარი**;
- ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო - აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა ნახაზების შედგენა), გეოლოგიური დასკვნები - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **14 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **13 585 ლარი**;
- პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **180 207 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **153 474 ლარი**.

➤ **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **603 595 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **589 517 ლარი**.

სოფლის მეკომურთა კრებების გადაწყვეტილებით განხორციელდა **82 პროექტი**.

მათ შორის:

- ✓ საავტომობილო გზებზე ბეტონის დაგება - 55 სოფლის გზისთვის შეძენილი იქნა 4 160 კმ მზა ბეტონი, რითაც 10 200 გრძივი მეტრი გზის მოწოდება დაიგო - **540 807 ლარი**;
- ✓ მოეწყო საცალფეხო ბილიკები და ხიდები სოფელ არსენაულში, სოფელ ქედაში და სოფელ წონიარისში - **12 000 ლარი**;
- ✓ შეძენილი იქნა სარიტუალო ინვენტარი სოფელ აბუქეთის, გარეტყისა და წონიარისისათვის - **8 900 ლარი**;
- ✓ სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს სოფელ არსენაულში, ნომონასტრეში და ზესოფელში - **3 400 ლარი**;
- ✓ გარემონტდა სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები სოფელ წონიარისში, არსენაულში, სირაბიძეებში, ქოსოფელში და გუნდაურში - **12 540 ლარი**.

➤ **არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **18 800 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **12 850 ლარი**.

- **სოფელ ახოსა და დანდალოს საზაფხულო იალაღებზე ელექტრო გადამცემი ხაზების აღდგენა და სატელევიზიო ანმაზე ელექტრომეურნეობის აღდგენა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **38 450 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **25 971 ლარი**.
- **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **323 819 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **313 480 ლარი**.

სივრცითი მოწყობა, არქიტექტურა

სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2016 წლის განმავლობაში გატარდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

- მომზადდა მუნიციპალიტეტისთვის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და პროექტები - საერთო ღირებულებით **5 477 582 ლარი**.
- შ.პ.ს. „არქ პროექტის“, მიერ მომზადებული იქნა აწვევის დასახლების სივრცითი მოწყობის გეგმა, (ტრიდე ფორმატში, რომელმაც მოსახლეობაში დიდი მოწონება დაიმსახურა) - **54 000 ლარი**;
- სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად 2016 წელში მომზადდა **1 052 477 ლარზე** საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები, აქედან შესრულებული იქნა 668 560 ლარის სამუშაოები.

განათლება

განათლების სფეროს 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **1 298 455 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1 273 660 ლარი**.

მათ შორის:

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **1 298 455 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1 273 660 ლარი**.

საიდანაც:

- ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **972 300 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **947 627 ლარი**;
- ოქტომბრის ბაგა-ბაღის მშენებლობა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **287 400 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **287 348 ლარი**;
- სოფელ ნამლისევში ბაგა-ბაღის ინვენტარით აღჭურვა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **5 555 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **5 555 ლარი**;
- დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **33 200 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **33 130 ლარი**.

ბოლო 3 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოება. 2-ჯერ გაიზარდა საბავშვო ბაღების რაოდენობა, რამაც შექმნა 100-მდე ახალი სამუშაო ადგილი და დამატებით 400-მდე აღსაზრდელს მისცა საშუალება სკოლამდელი განათლების.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **1 419 300 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1 401 829 ლარი**.

მათ შორის:

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **688 100 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **682 841 ლარი**

საიდანაც:

- ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **428 500 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **426 306 ლარი**;
- ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **126 800 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **125 828 ლარი**;
- ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **52 700 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **52 077 ლარი**;
- ზვარის თემის ადმინისტრაციული შენობის და კულტურის სახლის ინვენტარით აღჭურვა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **17 300 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **17 300 ლარი**;
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **62 800 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **61 330 ლარი**.

კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამით განხორციელდა 33 ღონისძიება, რომელთა ძირითადი მიზანია ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების წარმოჩენა, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების ნიმუშთა მოძიება-დაფიქსირება, ქართული ხალხური სიმღერის წარმოჩენა-პოპულარიზაცია. ასევე, კულტურული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მოვლა-

პატრონობა, ვიზიტორთა დაინტერესება, მოზიდვა და ა.შ. ყოფითი კულტურის წარმოჩენა, ღვაწლმოსილი და მრავალშვილიანი ქალბატონების, ასევე მასწავლებელთა წახალისება, მათი როლისა და ღვაწლის დაფასება, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება. ქვეყნისათვის თავგანწირული გმირების უკვდავყოფა და სხვა.

- ✓ 3-8 მარტი დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 64 მრავალშვილიან და 15 ღვაწლმოსილ ქალბატონს გადაეცა ფასიანი საჩუქარი - **1 922 ლარი**;
- ✓ საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, იუნკერთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები - **1 977 ლარი**;
- ✓ საჯარო სკოლების თვითშემოქმედებითი ანსამბლების დათვალიერება - **1 411 ლარი**;
- ✓ დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს გადაეცათ 15 წიგნი - **422 ლარი**;
- ✓ ბიბლიოთეკის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 22 ბიბლიოთეკარს გადაეცა ფასიანი საჩუქრები - **822 ლარი**;
- ✓ სახალხო დღესასწაული „ფრიდონობა“ - **1 263 ლარი**;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე - 40 შშმ ბავშვს გადაეცა ფასიანი საჩუქარი - **1 353 ლარი**;
- ✓ ეტალონი 2016 - **3 417 ლარი**;
- ✓ EXPO BATUMI 2016 - **1 694 ლარი**;
- ✓ საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015 - 2016 - ფესტივალის დასკვნით ტურში ანსამბლმა „ელესა“-მ მესამე ადგილი მოიპოვა, დანარჩენმა ანსამბლებმა კი ლაურეატის წოდებები - **3 808 ლარი**;
- ✓ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“ - **2 440 ლარი**;
- ✓ შუამთობა - ღონისძიების ფარგლებში 2 გენერატორი გადაეცათ თივნარასა და ღარათის მთების მოიალაღებს, ხოლო ფასიანი საჩუქარი 4 უხუცეს მოიალაღეს - **1 224 ლარი**;
- ✓ სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედაში“ - **6 880 ლარი**;
- ✓ მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 50 პადაგოგს გადაეცა ფასიანი საჩუქარი - **3 245 ლარი**;
- ✓ **ტურიზმის განვითარებისა და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები** - შიდა ტურიზმის განვითარების, კულტურული ძეგლების შესახებ მოსწავლეებში ცნობადობის ამაღლების მიზნით, შეძენილი იქნა ლაშქრობისათვის საჭირო ინვენტარი, მოეწყო დასუფთავების აქციები კულტურულ ძეგლებთან, ლაშქრობები, მათ შორის ორდღიანი ლაშქრობა მთა დიდვაკეზე, ჩაუტარდა ტრენინგები ტურიზმის მნიშვნელობაზე და ა.შ. - **2 795 ლარი**;
- ✓ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე - 1912-1924 წლებში დაბადებულ ხანდაზმულებს გადაეცათ თბილი სამოსი - **2 223 ლარი**;
- ✓ AGRO BATUMI 2016 - **990 ლარი**;
- ✓ ანსამბლ „ელესას“ 25 წლის იუბილე - გამოიცა 800 ცალი აუდიო დისკი, „ელესას“ დამფუძნებელს ტარიელ მამალაძეს გადაეცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით - **7 098 ლარი**;
- ✓ საახალწლო-საშობაო ღონისძიებები - შეძენილი იქნა ხელოვნური ნაძვის ხე და სხვადასხვა მოსართავი აქსესუარები - **14 840 ლარი**;
- * ტკბილეულის ფუთა გადაეცა 693 საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, 26 შშმ ბავშვს და საახალწლო კონცერტში 45 მონაწილეს - **8 198 ლარი**.

ასევე მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების გარდა, აღინიშნა აუტიზმის საერთაშორისო დღე, ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტები ლამა ლომინაძისა და ბაჩუკი ბერიძის დასახმარებლად.

➤ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **731 200 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **718 988 ლარი**.

საიდანაც:

- ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **134 900 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **130 450 ლარი**;
 - სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **68 500 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **61 697 ლარი**;
 - საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **350 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **349 916 ლარი**.
- აღსანიშნავია, „ბეთლემის“ წარმატებები, რომელმაც ღირსეულად გადალახა ყველა კრიზისი და კვლავ ქედელი ქომაგების სიამაყეა.

- სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **83 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **82 947 ლარი**.
დასაფასებელია „ფირალების“ წაუგებელი სერიით იასპარეზობა პირველ წრეში;
- მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია - - აშენდა ახალი სპორტული მოედანი ცხმორისის ცენტრში და სოფელ აგარაში. გარემონტდა სპორტული მოედნები სოფელ ცხმორისში, დანდალოში, წონიარისში და დოლოგანში - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **94 800 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **93 978 ლარი**.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიზნად დაისახა ახალგაზდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სპორტული სახეობების პულარიზაცია. ქედელმა სპორტსმენებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტურნირებში. 2016 წელი კვლავ წარმატებული აღმოჩნდა ქედელი ფალავანისთვის - შოთა ფარტენაძისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, გამგეობის მიზანი ამ დროისთვის უკვე მიღწეულია.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2016 წლის 18 იანვრის N 3, 27 მაისის N 42 და 06 დეკემბრის N 84) განკარგულებით დამტკიცებული სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, **35** ღონისძიება ჩატარდა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან **50 210 ლარი** დაიხარჯა.

- ✓ გ . ჩელებადის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში - ლორთქიფანიძე ლევან I ადგილი, ოსანაძე გოდერძი I ადგილი, გურგენიძე ბექა II ადგილი, ვარშანიძე ვეფხვია III ადგილი - **1318 ლარი**;
- ✓ აჭარის პირველობა ჭადრაკში (10,14,18) წლამდე ასაკის - თამუნა სალაძე II ადგილი, თამთა სალაძე III ადგილი - **2 192 ლარი**;
- ✓ აჭარის პირველობა ჭადრაკში (8,12,16) წლამდე ასაკის - თამუნა სალაძე I ადგილი, ნინო მახარაძე III ადგილი - **1 906 ლარი**;
- ✓ საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე - ყადიძე გიორგი I ადგილი, სალაძე თამთა I ადგილი, სალაძე თამუნა III ადგილი - **1107 ლარი**;
- ✓ საქართველოს პირველობა თავისუფლა ჭიდაობაში - **1 615 ლარი**;
- ✓ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები - **2 351 ლარი**;
- ✓ ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ფრენბურთში - **1 944 ლარი**;
- ✓ თავისუფალი ჭიდაობა - „ქოლოგანი დელფინი“ - ლევან ლორთქიფანიძე I ადგილი, ნიკა აბაშიძე I ადგილი, ვეფხვია ვარშანიძე II ადგილი, გუგული გურგენიძე II ადგილი, ირაკლი ბერიძე II ადგილი, დიეგო დიასამიძე II ადგილი, დავით ფარტენაძე III ადგილი - **1 241 ლარი**;
- ✓ კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - აბაშიძე ნიკა II ადგილი - **1 363 ლარი**;
- ✓ აჭარის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში - ანრი დევაძე I ადგილი, ელზა მახაჭაძე III ადგილი - **1 744 ლარი**;
- ✓ რაჭის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში - ანრი დევაძე I ადგილი, ელზა მახაჭაძე I ადგილი, ლინდა ჩიკვაძე II ადგილი - **1 398 ლარი**;
- ✓ დასავლეთ საქართველოს 2015-2016 წწ ზონალური ტურნირი ფეხბურთში - **2 146 ლარი**;
- ✓ 2004-2005 წლიანების შეჯიბრება ფეხბურთში - **1 192 ლარი**;
- ✓ ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი-2016“ - ნინო მახარაძე I ადგილი; დიანა სალაძე II ადგილი - **1 637 ლარი**;
- ✓ ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი“ - დიანა სალაძე II ადგილი; ნინო მახარაძე III ადგილი - **1 637 ლარი**;
- ✓ 2016 საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება (16 სპორტსმენს და 8 მწვრთნელს გადაეცა ფულადი თანხა) - **5 533 ლარი**;
- ✓ როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - I ადგილი - აბაშიძე ნიკა, II ადგილი დიასამიძე დიეგო, II ადგილი ფარტენაძე დათო, III ადგილი ლორთქიფანიძე ნოდარ - **1 308 ლარი**;
- ✓ დასავლეთ საქართველოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში - I ადგილი ვაჟებში ანრი დევაძე, II ადგილი გოგონებში ლინდა ჩიკვაძე, III ადგილი წყვილში ლინდა ჩიკვაძე და ელზა მახაჭაძე - **1 330 ლარი**;
- ✓ ზ.ბერიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - **2 078 ლარი**;
- ✓ დასავლეთ საქართველოს 2015-2016 ზონალური ტურნირი ფეხბურთში - **3 015 ლარი**;
- ✓ ზემო აჭარის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში - I ადგილი ანრი დევაძე, II ადგილი ელზა მახაჭაძე, II ადგილი ლინდა ჩიკვაძე, III ადგილი მალხაზ გოგიტიძე - 579 ლარი;
- ✓ ქედის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნო შეკრება ბაკურიანში - **4 612 ლარი. და ა.შ.**

2016 წლის ახალგაზრდული პროგრამით გათვალისწინებული 13 ღონისძიების დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯულია 12 753 ლარი. გამგეობისთვის ასევე პრიორიტეტულია ახალგაზრდების ინტელექტუალური შესაძლებლობების ხელშეწყობა, მათი ცნობიერების გაზრდა სხვადასხვა კუთხით, შემეცნებითი თუ გასართობი აქტივობების დაფინანსება:

- ✓ მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ქედის და წონიარისის საჯარო სკოლის გუნდებმა, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დაჯილდოვდნენ ერთდღიანი ექსკურსიით - **3 379 ლარი**;
- ✓ „ინტელექტის დღე 2016“ დაიხარჯა - **1 133 ლარი**;
- ✓ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა - **1 540 ლარი**;
- ✓ ლაშქრობა აგარიდან მტირალას ეროვნულ ნაკრძალში - **761 ლარი**;
- ✓ ეკო-ტურის დღეები (ექსკურსია სვანეთში) - დაიხარჯა **2 110 ლარი**;
- ✓ კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში - **1 123 ლარი**;
- ✓ ახალგაზრდა დამწყებ პოეტებთან შეხვედრების ორგანიზება - **438 ლარი** და ა.შ.

მუნიციპალიტეტის გამგეობა რელიგიურ დღესასწაულებს სისტემატიურად ულოცავს მორწმუნეებს. ალილობაზე შემოსული ნობათი და ღვეზელები უფასო სასადილოს ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა გადასცეს. ასევე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე 26 ბენეფიციარს სააღდგომო ტკბილეულის ფუთა გადაეცა. ხოლო „ბაირამი“-ს დღესასწაულებზე ტკბილეულის ფუთები მიუტანეს მომლოცველებს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **403 456 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **383 249 ლარი**.

მათ შორის:

- **ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების** - 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **194 440 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **180 808 ლარი**.

საიდანაჯ

- ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **20 800 ლარი** ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **20 577 ლარი** - პროგრამით ისარგებლა 80 ბენეფიციარმა;
- ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **94 940 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **82 781 ლარი** - ექიმის ჩანთა პროგრამის ფარგლებში ივსება კვრატალურად;
- ამბულატორიებისათვის ავტომანქანის შეძენა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **52 400 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **52 400 ლარი**;
- თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **26 300 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **25 051 ლარი**.

- **სოციალური დაცვის ღონისძიებების** - 2016 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **209 016 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **202 440 ლარი**.

საიდანაჯ

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **20 700 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **20 588 ლარი** - ისარგებლა 26 ბენეფიციარმა;
- ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **2 750 ლარით**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1 750 ლარი**;
- ყოველი ახალშობილის შეძენაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **3 900 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **3 900 ლარი**;
- ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **12 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **11 000 ლარი** - ისარგებლა 11 ოჯახმა;
- უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **14 500 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **12 000 ლარი** - ისარგებლა 48 ოჯახმა;
- ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ღირებულების უზრუნველყოფის პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **15 100 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **15 059 ლარი** - სარგებლობდა 10 მოქალაქე;

- ცერემონიური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მზავრობის ხელსეწყობის მიზნობრივი პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **6 120 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **4 667 ლარი** -ისარგებლა 10 ბენეფიციარმა;
- ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **93 946 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **93 544 ლარი**.
- საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამის - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **40 000 ლარი**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **39 933 ლარი** - გადაეცა 50 ოჯახს.

გარდა პროგრამებისა, გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

- ✓ სოფელ ჯალაბაშვილებში აღდგენილი იქნა ნაზი ჩხუბაძის სტიქიით დაზიანებული სახლი.
- ✓ სოფელ კოლოტაურში ლევან სალაძის ოჯახს ახლად აუშენდა საცხოვრისი.
- ✓ 35 ოჯახზე შედგენილი იქნა საჭირო დოკუმენტაცია და შუამდგომლობა გაეწია აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩასართავად. აღნიშნული პროგრამით **31 ოჯახმა** უკვე შეიძინა საცხოვრებელი ფართი.
- ✓ ხანძრის შედეგად დაზარალებულ 2 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება - თითოეულს **10 000 ლარის** ოდენობით;
- ✓ იანვარში თვეში გამგებლის ინიციატივით 10 მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახს საახალწლო ნობათები გადაეცათ;
- ✓ გამგეობის ორგანიზებით, დეკემბრის თვეში 10 სოციალურად დაუცველ ოჯახს საახალწლო ნობათები გადაეცათ;
- ✓ გამგეობის პროფკავშირების ორგანიზებით სოფელ ნაძლისევში, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მალაყმაძეების ოჯახს საჩუქრად გაზუქურა გადაეცა.

ასევე მოწვეული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტები. ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა მოსახლეობის მიერ მეწყერებთან დაკავშირებული განცხადებები. დასკვნების შესაბამისად, ეტაპობრივად მიმდინარეობს დაზარალებული ოჯახების შესწავლა, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მასალების სამთავრობო კომისიაზე გაგზავნა განსახილველად. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 თემის სამედიცინო პუნქტი და 9 ამბულატორია, რომლებიც პირველად დახმარებასა და მკურნალობას უწევენ მოსახლეობას.

- **საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა** 2016 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა **285 687 ლარს**, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **281 471 ლარი**.
 - 2012 წელს მიწისძვრით დაზარალებულ 97 ოჯახს გადაეცა ფულადი კომპენსაციები.

ზედამხედველობის სფეროში

- მშენებლობის ნებართვების მისაღებად კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია ნებართვები **6 ობიექტზე**;
- სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას **4 ფიზიკურ** პირზე გაცემული იქნა მითითებები სამართალდარღვევის გამოსწორების შესახებ, რომელთაგან სამი იურიდიული პირი დაჯარიმებული იქნა.
- საანგარიშო პერიოდში შედგენილ იქნა **4 ადმინისტრაციულ** სამართალდარღვევათა ოქმი ფიზიკურ პირებზე.
- ჩატარდა სანიტარული დასუფთავების აქციები ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „კომუნალურისერვის“-ს მიერ სისტემატურად ხდება გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიულ პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოახდინონ მოვლა - პატრონობა ან მოახდინონ მისი აღკვეთა;
- აწვევისა და დაბა ქედის დასახლებაში დასრულდა წყლის მრიცხველების აბონენტთა გამრიცხველიანობა.
- მახუნცეთის თემის აწვევის დასახლებაში დემონტაჟი ჩატარდა უსახურ და უნებართვოდ განლაგებულ შენობა-ნაგებობებს. დაბა ქედაში მოწესრიგდა სავაჭრო ჯიხურების ფასადები მეპატრონეების მიერ.
- სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და თემის ცენტრების გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა მისი მოწესრიგების მიზნით. ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოაწყონ ობიექტის გარე-სარეკლამო აბრები და დაიცვან სანიტარული დასუფთავების წესები.

აღსანიშნავია გამგეობის მოხელეების ჩართულობა დასუფთავების აქციებში, რომელიც მუნიციპალიტეტში პერმანენტულად იმართება. პიარ კამპანიებისა და მოსახლეობასთან ცნობიერების ამაღლების კუთხით, „ეკო კლუბის“ ბავშვებთან ერთად არაერთი ღონისძიება გაიმართა, აღმოიფხვრა უკანონო ნაგავსაყრელები. ამიტომაც, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ქედა რეგიონში ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად ითვლება.

შიდა აუდიტის სფეროში

- შიდა აუდიტის სამსახურმა სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შიდა აუდიტორული შემოწმება სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლისა და ანალიზის შესახებ.
- გეგმის შესაბამისად შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, ასევე აუდიტორული შემოწმებები ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის თაობაზე.
- კერძოდ: მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 28 დეკემბრის #899 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა: სპორტული და კულტურული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამების აუდიტი, სატელეკომუნიკაციო ხარჯების, ა.ა.ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღები“-ში, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ში, მოხმარებულ ელექტრო ენერჯიაზე გაწეული ხარჯების აუდიტი, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ში, ა.ა.ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ში, შ.პ.ს. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში, ა.ა.ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ში, ა.ა.ი.პ. „ქედის ხელოვნების სკოლა“-ში აუდიტი. ჩატარებულ ობიექტებზე აუდიტის თემა იყო „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ“.
- შიდა აუდიტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება ხდება მიმდინარე მუშაობის პროცესში, ასევე შიდა აუდიტის რეკომენდაციები იგზავნებოდა თითოეულ შემსრულებელამდე და რომლის შესრულების კონტროლს ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით 2016 წელში ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ხარჯები იქნა გაწეული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის:

- ✓ დაიგო 16,5 კმ ასფალტო-ბეტონის საფარი 8 სოფელში: პირველი მაისი, ზუნდაგა, ორცვა, კვამტავაიო, აბუქეთა, ხარაულა-ჯალაბაშვილები;
- ✓ დაიგო 7,5 კმ ბეტონის საფარი 7 მიმართულებით: ზესოფელი, გულები, ცხმორისი.
- ✓ გარემონტდა 1 ხიდი;
- ✓ მოეწყო 30 საყრდენი კედელი 20 სოფელში;
- ✓ გარემონტდა 17 კმ 9 სარწყავი არხი - 5 სოფელში.

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში:

- ✓ გარემონტდა ოქტომბრის საჯარო სკოლა და აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ინვენტარით;
- ✓ სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა დანდალოს საჯარო სკოლა;
- ✓ რეაბილიტაცია ჩატარდა ხარაულის საჯარო სკოლის სპორტდარბაზს და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვლილ სამ წელიწადში ქედაში განხორციელებული კერძო ინვესტიციები:

- ✓ აწვესში უკრაინელი ინვესტორის მიერ მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა;
- ✓ აშენდა ღვინისა და ხილის სარწმომები;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა ინვესტიციები, რომელთა ღირებულება 3 000 000 ლარს გადააჭარბა.
- ✓ გაიხსნა ავტო-სერვის ცენტრი და ა.შ.

- * გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- * 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა **5 298 648 ლარი**;
- * დაცულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნები და განვლილ 2016 წელს დადებულია 240 ხელშეკრულება, აქედან გამარტივებული შესყიდვის წესით 88 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერის მეშვეობით 152 ხელშეკრულება.
- * 2016 წელს ელექტრონული აუქციონით გაყიდული იქნა 7 ერთეული ქონება, რომელთა ღირებულება - **18 202 ლარია**.

სოფლის-მეურნეობის სფერო

შემოსული განცხადებების თანახმად, **650 ფერმერი** მოითხოვდა აჭარის ა რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის მიზნობრივი პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით შეეძინათ: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (მოტობლოკი), რძის სახდელი მექანიკური სეფერატორი, მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგი, მობილური შემასხურებელი აპარატები, თაფლის საწური აპარატი. დაკმაყოფილდა **397** ფერმერის განცხადება.

- ✓ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - **34 ფერმერი**;
- ✓ მობილური შემასხურებელი აპარატი - **6 ფერმერი**;
- ✓ რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატი - **164 ფერმერი**;
- ✓ თაფლის საწური აპარატი - **15 ფერმერი**;
- ✓ მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგები (კაკალი, თხილი, მოცვი) - **178 ფერმერი**.

საქართველოს სოფლის-მეურნეობის სამინისტროს პროგრამით „მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში **5 089** მოსარგებლემ მიიღო სუბსიდია.

- ✓ სასოფლო-სამეურნეო ხვნის ბარათი დაურიგდა - **3 743 ბენეფიციარს**;
- ✓ „აგრო ბარათზე“ დაერიცხათ ქულების სახით - **1 346 ბენეფიციარს**.
- ✓ აღნიშნული პროგრამით მოიხვნა **170 ჰა** სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

გენდერული თანასწორობა

ქედის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით დაიგემა და განხორციელდა შემდეგი ინიციატივები:

- ✓ გაიმართა საჯარო დისკუსია გენდერულ საკითხებზე „ქალების გაძლიერება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეების მისაღებად“;
- ✓ ქალისა და მამაცაცის თანაბარი უფლებებისათვის დაინერგა ახალი მუნიციპალური სერვისი ღია სივრცე საზოგადოებისათვის - „ქალთა ოთახი“ საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ქალებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში, ხელიშეუწყოს ქალთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ✓ მოეწყო შეხვედრა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის საკითხებზე“;
- ✓ ცნობიერების ამაღლების კამპანია „გენდერის საათი“, „გენდერის კვირეული“, „გენდერული ამბები“;
- ✓ ვორქშოფ/სემინარი „ქალების ჩართულობის გაზრდა“;
- ✓ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - „ქალების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“.
- ✓ აღინიშნა „გოგონათა საერთაშორისო დღე“, რომელიც აქტუალურ პრობლემას - ბავშვთა ქორწინებას მიეძღვნა;
- ✓ ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულს!“
- ✓ „ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“
- ✓ მოეწყო ფილმის „ხმა ამოიღე!“ (speak out!) ჩვენება.

საჯაროობა

- * საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით, სისტემა გამართულად მუშაობს და დროულად იგზავნება შესაბამისი პასუხები ადრესატს;
- * ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომის კუთხით, მუნიციპალიტეტმა არაერთი აქტივობა განახორციელა;
- * გამგეობის ყველა სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელოვანი ღონისძიებები საჯაროდ განიხილება;
- * და ბოლოს! ყველა სტრუქტურული ერთეული ღიაა პრესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის; გამგეობის თანამდებობის პირებს არასოდეს განუცხადებიათ კომენტარზე უარი.